



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი

„დამტკიცებულია“

რექტორი

პროფ. გიორგი ღავთაძე

აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №
მაისი 2011 წელი

„დამტკიცებულია“

დეკანი

ასოც. პროფ. გოდერძი ვაჭრიძე

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №
მაისი 2011 წელი

საბაკალავრო პროგრამა

ისტორია

1. პროგრამის სახელწოდება: ისტორია

2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში
Bachelor of Arts in History

3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS კრედიტი

მათ შორის: ძირითადი ნაწილი (Major) – 180 ECTS კრედიტი,
მეორადი პროგრამა (Minor) - 60 ECTS კრედიტი

საბაკალავრო პროგრამა სასწავლო დისციპლინათა შემდეგ კატეგორიებს მოიცავს:

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები 15 კრედიტი

საფაკულტეტო სავალდებულო კურსები 20 კრედიტი

სავალდებულო კურსები 110 კრედიტი

არჩევითი კურსები 25 კრედიტი

თავისუფალი კრედიტები 10 კრედიტი

მეორადი პროგრამის (minor) კრედიტები - 60 კრედიტი

(სტუდენტს უფლება აქვს უნივერსიტეტში არსებული მაინორ პროგრამებიდან იარჩიოს ერთ-ერთი)

4. სწავლების ენა: ქართული.

5. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს ჩამოუყალიბოს:

- დიაქრონიულ და სინქრონიულ ჭრილში საბაზისო ცოდნა საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა პერიოდების უმთავრესი მოვლენების შესახებ (ძვ. აღმოსავლეთისა და ანტიკური ქვეყნების ისტორია, შუა საუკუნეების ევროპის, ევროპა-ამერიკისა და აზიის მთავარი ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია); საქართველოს ისტორიის ცოდნა იმ რეგიონთან და ქვეყნების ისტორიების კონტექსტში, რომლებთან კავშირშიც ის ისტორიულად ვითარდებოდა;
- მოვლენების, ფაქტების, წყაროებისა და სხვადასხვა იდეურ-პოლიტიკური პოზიციებიდან შექმნილი ისტორიული გამოკვლევების კრიტიკულად განხილვისა და საკუთარი აზრის გამომუშავების უნარი; წარსულის კრიტიკულად აღქმისა და იმ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გააზრების უნარი რომელიც არსებობს წარსულსა და დღევანდელობას შორის;
- თანამედროვეობის რთულ და წინააღმდეგობრივ გარემოში ნაციონალური ისტორიის, როგორც ეროვნულ-კულტურული იდენტობის, თვითმყოფადობისა და უნიკალური ინდივიდუალობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და აღმზრდელი ფუნქციების გააზრების უნარი; სხვადასხვა ცივილიზაციების ცოდნა-პატივისცემისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ღირებულებებში ორიენტირების უნარი.

დასაქმების სფეროები

ბაკალავრის საქმიანობის სფეროებია: მუზეუმი, არქივი, ტურისტული ბიურო, ბიბლიოთეკა, ადგილობრივი თვითმართველობის და მმართველობის ორგანოები. სხვა

სახელმწიფო და პოლიტიკური ინსტიტუტები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, მასმედია, გამომცემლობა, დამხმარე ფუნქცია კვლევით ცენტრებში, კერძო სექტორი. შეუძლია გააგრძელოს სწავლა ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამებში.

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

აბიტურიენტის განათლების წინამორბედი დონეა სრული საშუალო ან მისი ექვივალენტური განათლება. აბიტურიენტს უნდა გააჩნდეს სრული საშუალო განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დოკუმენტი, რომელიც ანიჭებს მას სტუდენტის სტატუსს საქართველოს მოქალაქეებისათვის ან ექვივალენტური დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სახელმწიფოებს შორის შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში.

7. სწავლის შედეგი:

ისტორიის პროგრამის ათვისებით კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება.

განმარტავს ისტორიის რაობას, ფუნქციებს და კვლევის მეთოდებს; განსაზღვრავს საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა პერიოდების უმთავრეს მოვლენებს დიაქრონიულ და სინქრონიულ ჭრილში; შეუძლია ისტორიული მეცნიერების კლასიფიცირება დროისა და სივრცის კატეგორიების მიხედვით; განიხილავს და იყენებს სხვადასხვა სახის ისტორიული მეთოდებსა და მიდგომებს; განსაზღვრავს და აფასებს მსოფლიო ისტორიულ პროცესში საქართველოს ადგილსა და როლს; განიხილავს და აანალიზებს ისტორიულ წყაროებს, განსხვავებულ თეორიულ მიდგომებსა და პრინციპებს;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

იყენებს ისტორიის დარგისათვის დამახასიათებელ მეთოდებს კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად; შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციების შესაბამისად კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის ამოცანების გადაჭრა და მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია; აჩვენებს დღევანდელი დროის ისტორიული წარსულის გავლენას, აქვს წარსულისა და თანამედროვეობის დაკავშირების უნარი; დასკვნის უნარი

კრიტიკულად იაზრებს ისტორიულ წყაროებს ისტორიული სინამდვილის რეკონსტრუქციისას; აანალიზებს კონკრეტულ მონაცემებს და აკეთებს ადეკვატურ დასკვნებს; კრიტიკულად უდგება შესაბამის ლიტერატურაში ჩამოყალიბებულ სხვადასხვა მოსაზრებებს, არგუმენტირებულად აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს.

კომუნიკაციის უნარი:

კურსდამთავრებულს აქვს ზეპირი და წერილობითი ინფორმაციის მიღების, აღქმისა და წარდგენის, წერილობითი ანგარიშის მომზადებისა და პრეზენტაციის უნარი; აწვდის ინფორმაციას სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს როგორც ქართულ ასევე უცხო ენაზე; ფლობს სპეციალურ ტერმინოლოგიას, კამათის კულტურას, აქვს დიალოგებსა და დისკუსიებში მონაწილეობის უნარი; განსხვავებული აზრების პატივისცემისა და ჯგუფში მუშაობის უნარი; იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებს კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად.

სწავლის უნარი:

დამოუკიდებლად შეუძლია ისტორიული მეცნიერებისა და მისი ცალკეული ქვედარგების სფეროს მონაცემების შეგროვება; მრავალმხრივ კრიტიკულად და

თანმიმდევრულად აფასებს საკუთარ სწავლის შედეგებს და შესაძლებლობებს. აცნობიერებს თავისი ცოდნის ზღვარს და მზად არის შემდგომი სწავლისათვის.

ღირებულებები:

სრულად აცნობიერებს დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების და განვითარების მნიშვნელობას საზოგადოებრივი პროგრესის საქმეში; ესმის პიროვნების სრულყოფისათვის სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების მნიშვნელობა; პროფესიულ საქმიანობისას იცავს ეთიკის ნორმებს; ავლენს ტოლერანტობას განსხვავებული რწმენისა და შეხედულებების ადამიანთა მიმართ; პატივს სცემს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, მონაწილეობს მათი დამკვიდრებისა და განვითარების პროცესში, აქვს ნაციონალური ისტორიის მნიშვნელობისა და როლის მსოფლიო-ისტორიულ პროცესში გააზრების უნარი.

8. სწავლის/სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები:

საკონტაქტო: პასიური და აქტიური (სალექციო ფორმით)

ინტერაქტიური (ჯგუფში მუშაობა);

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა;

სწავლების პროცესში გამოიყენება:

ვერბალური მეთოდი:

სალექციო მასალის ვიზუალური პრეზენტაცია და ვერბალური განმარტება, დისკუსია;

წიგნზე მუშაობის მეთოდი:

დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად დავალების მიცემა წიგნზე მუშაობის სახით;

ახსნა-განმარტებითი მეთოდი – მსჯელობა მოცემული საკითხის ირგვლივ და დაწვრილებით განხილვა მოცემული თემის ფარგლებში.

დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

(იხ.სილაბუსებში)

9. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, თუ მას შუალედურ შეფასებებზე მინიმუმ 11 ქულა აქვს.

კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება მეტია 51- ზე

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ: უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული ცენტრი.

პროგრამას განახორციელებს აწსუ-ს აკადემიური პერსონალი.

სასწავლო გეგმა

№	კურსი	სკ	ლ./პრ./დამ.მუშ	კრედიტთა რაოდენობა	სემესტრები								წინაპირობა
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები (15 კრედიტი)													
1	უცხო ენა 1	5	0.75.50	15	5								
2	უცხო ენა 2	5	0.75.50			5							
3	უცხო ენა 3	5	0.75.50				5						
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები (20 კრედიტი)													
4	შესავალი ისტორიის მეცნიერებაში	3	30.15.80	5	5								
5	შესავალი ქართულ ფილოლოგიაში	3	30.15.80	5	5								
6	ფილოსოფიის შესავალი	3	30.15.80	5	5								
7	შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში	4	30.30.65	5	5								
სავალდებულო კურსები (110 კრედიტი)													
8	საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა	3	30.15.80	5		5							
9	საქართველოს ისტორია (უძვ. დრ. მე-11 ს-მდე)	3	30.15.80	5		5							
10	საქართველოს ისტორია (XI-XII სს.)	3	30.15.80	5			5						
11	საქართველოს ისტორია XIII-XV სს.	3	30.15.80	5				5					
12	საქართველოს ისტორია XVI-XVII ს.	3	30.15.80	5					5				
13	საქართველოს ისტორია XVIII საუკუნეში	3	30.15.80	5						5			
14	საქართველოს ისტორია (1801-1918წ.წ.)	3	30.15.80	5							5		

15	საქართველოს ისტორია (1918-2000წ.წ.)	3	30.15.80	5								5	
16	ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია	3	30.15.80	5		5							
17	ანტიკური ქვეყნების ისტორია	3	30.15.80	5		5							
18	შუა საუკუნეების ისტორია (I)	3	30.15.80	5			5						
19	შუა საუკუნეების ისტორია (I I)	3	30.15.80	5				5					
20	ახალი ისტორია (I)	3	30.15.80	5					5				
21	ახალი ისტორია (I I)	3	30.15.80	5						5			
22	უახლესი ისტორია (I)	3	30.15.80	5							5		
23	უახლესი ისტორია (I I)	3	30.15.80	5								5	
24	მსოფლიო ისტორიის ისტორიოგრაფია	3	30.15.80	5								5	
25	ქართული ისტორიოგრაფია	3	30.15.80	5								5	
26	ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების უახლესი ისტორია	3	30.15.80	5						5			
27	აზიის ქვეყნების ისტორია	3	30.15.80	5					5				
28	რუსეთის ისტორია	3	30.15.80	5				5					
29	საბჭოთა ტოტალიტარიზმის ისტორია	3	30.15.80	5									5
არჩევითი კურსები (25 კრედიტი - 5 კურსი)													
	არჩევითი კურსი - 1	3				5							
1.1	ინფორმაციული ტექნოლოგიები		0.45.80										
1.2	მეორე უცხო ენა	5	0.75.50										
	არჩევითი კურსი - 2					5							
2.1	ისტორიის დამხმარე დისციპლინები (არქეოლოგია, ქრონოლოგია)	3	30.15.80										
2.2	ეთნოლოგია												
2.3	მეორე უცხო ენა	5	0.75.50										
	არჩევითი კურსი - 3	3	30.15.80					5					
3.1	ანთროპოლოგია												
3.2	საქართველოსა და კავკასიის ისტორიული გეოგრაფია												
3.3	სამუზეუმო და საარქივო საქმე												

3.4	მეორე უცხო ენა	5	0.75.50										
	არჩევითი კურსი - 4	3	30.15.80						5				
4.1	კულტურის ანთროპოლოგია												
4.2	ვენის სისტემა		24.21.80										
	arCeviTi kursi - 5	3	30.15.80						5				
5.1	ნაციონალ-სოციალიზმი გერმანიაში												
5.2	რეფორმაცია და კონტრეფორმაცია ევროპაში												
	თავისუფალი კრედიტები			10	5							5	
	მეორადი პროგრამის (Minor) კრედიტები			60			10	10	10	10	10	10	
	სულ			240	30	30	30	30	30	30	30	30	

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ - საათი კვირაში; ლ/ჯგ.მუშ./დამ.მუშ. - ლექცია/ჯგუფში მუშაობა/დამოუკიდებელი მუშაობა.
5 კრედიტი - 125 საათი

კომპეტენციების რუქა:

№	კ უ რ ს ი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	უცხო ენა 1	X	X		X		
2	უცხო ენა 2	X	X		X		
3	უცხო ენა 3	X	X		X		
4	შესავალი ისტორიის მეცნიერებაში	X	X	X		X	
5	შესავალი ქართულ ფილოლოგიაში	X	X	X	X		
6	ფილოსოფიის შესავალი	X	x				X
7	შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში	X	X		X	X	X
8	საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა	X	X	X			
9	საქართველოს ისტორია (უძვ. დრ. მე-11 ს-მდე)	X	X			X	X
10	საქართველოს ისტორია (XI-XII სს.)	X	X			X	X
11	საქართველოს ისტორია XIII-XV სს.	X	X			X	X
12	საქართველოს ისტორია XVI-XVII ს.	X	X			X	X
13	საქართველოს ისტორია XVIII საუკუნეში	X	X			X	X
14	საქართველოს ისტორია (1801-1918 წ.წ.)	X	X			X	
15	საქართველოს ისტორია (1918-2000 წ.წ.)	X	X			X	X
16	ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია	X	X	X		X	
17	ანტიკური ქვეყნების ისტორია	X	X	X		X	
18	შუა საუკუნეების ისტორია (I)	X	X	X			
19	შუა საუკუნეების ისტორია (II)	X	X	X			
20	ახალი ისტორია (I)	X				X	X
21	ახალი ისტორია (II)	X				X	X
22	უახლესი ისტორია (I)	X		X		X	
23	უახლესი ისტორია (II)	X			X		X
24	მსოფლიო ისტორიის ისტორიოგრაფია	X			X		
25	ქართული ისტორიოგრაფია	X	X			X	X
26	ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების უახლესი ისტორია	X		X		X	X
27	აზიის ქვეყნების ისტორია	X				X	X
28	რუსეთის ისტორია	X	X	X		X	
29	საბჭოთა ტოტალიტარიზმის ისტორია	X		X		X	X
30	ინფორმაციული ტექნოლოგიები	X	X	X	X	X	
31	მეორე უცხო ენა	X	X		X		
32	ისტორიის დამხმარე დისციპლინები (არქეოლოგია, ქრონოლოგია)	X	X				X
33	ეთნოლოგია	X	X				X
34	მეორე უცხო ენა	X	X		X		

35	ანთროპოლოგია	X	X			X	X
36	საქართველოსა და კავკასიის ისტორიული გეოგრაფია	X	X			X	x
37	სამუზეუმო და საარქივო საქმე	X	X			X	X
38	მეორე უცხო ენა	X	X		X		
39	კულტურის ანთროპოლოგია	X				X	
40	ვენის სისტემა	X		X			X
41	ნაციონალ-სოციალიზმი გერმანიაში	X				X	X
42	რეფორმაცია და კონტრეფორმაცია ევროპაში	X	X	X			X